ტირანას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კონფერენცია

29-30 მაისი

ტირანას კომუნიკეს დანართი 1

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განცხადებები ფუნდამენტური ღირებულებების შესახებ

შესავალი

პარიზის კომუნიკე განსაზღვრავს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ფუნდამენტურ ღირებულებებს. რომის კომუნიკე კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ღირებულებებს და დეტალურად აღწერს ერთ-ერთ მათგანს: აკადემიური თავისუფლების საერთო გაგებას.

ეს დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია მრავალრიცხოვან ექსპერტებთან და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან კონსულტაციით, ავსებს რომის კომუნიკეს. ეს დოკუმენტები ერთობლივად ნათლად ასახავს შემდეგი ექვსი თანაბარმნიშვნელოვანი ღირებულების საერთო გაგებას: აკადემიური თავისუფლება, აკადემიური კეთილსინდისიერება, ინსტიტუციური ავტონომია, სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა უმაღლესი განათლების მართვაში, საჯარო პასუხისმგებლობა უმაღლეს განათლებაზე და უმაღლესი განათლების საჯარო პასუხისმგებლობა. ეს ღირებულებები უნდა აისახოს კანონებში, რეგულაციებსა და ჩარჩოებში და დამკვიდრდეს პრაქტიკაში. საჯარო ხელისუფლება პასუხისმგებელია ამ ღირებულებების რეალობად ქცევისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფუნდამენტური ღირებულებები წარმოადგენს თანმიმდევრულ მთლიანობას და ურთიერთდაკავშირებულია. მაშინაც კი, თუ ეს ღირებულებები ურთიერთთავსებადია, ზოგჯერ ისინი შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს. ნებისმიერი ცალკეული ღირებულების პრაქტიკულად გამოყენებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვა ღირებულებების რეალიზებაზე. შედეგად, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განხორციელების ანგარიშში უნდა შეფასდეს არა მხოლოდ თითოეული ღირებულების სტატუსი, არამედ ის, თუ როგორ გამოიყენება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფუნდამენტური ღირებულებები ერთობლივად. ამრიგად, ინდიკატორების საფუძველზე შესაძლებელი უნდა გახდეს შეფასდეს, თუ რამდენად იცავენ და ახორციელებენ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრები იმ ღირებულებებს, რომლებსაც ეფუძნება ეს სივრცე. ქვეყნები ან საგანმანათლებლო სისტემები არ შეიძლება მიჩნეული იქნენ უმაღლესი განათლების

ფუნდამენტური ფასეულობების დამცველებად, თუ ისინი პატივს არ სცემენ ყველა ღირებულებას. მათ უნდა შექმნან გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ღირებულებების რეალობად ქცევას, ყველა ღირებულებისთვის თანაბარი მნიშვნელობის მინიჭებას და მათ თანაბრად დაცვას.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, სტუდენტებმა და პერსონალმა, ისევე როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებმა პრაქტიკაში უნდა დანერგონ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფუნდამენტური ღირებულებები, კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის, ასევე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ამ ღირებულებების დანერგვისას თვითრეფლექსიის, კონსტრუქციული დიალოგისა და კოლეგიალური სწავლების მეშვეობით.

აკადემიური კეთილსინდისიერება

აკადემიური კეთილსინდისიერება ნიშნავს ქცევისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას აკადემიურ საზოგადოებაში, რომელიც ახდენს სწავლის, სწავლების, კვლევის, მმართველობის, კომუნიკაციისა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ეთიკური და პროფესიული პრინციპებისა და სტანდარტების ინტეგრირებას და ხელშეწყობას. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები ვრცელდება აკადემიური საზოგადოების ყველა წევრზე, რომელთაც უნდა ჰქონდეთ კონცეფციის საერთო გაგება და იხელმძღვანელონ მისით. ეს ასევე მოითხოვს კოლეგიალურობისა და სოლიდარობის კულტურის განვითარებას და მასში ჩართულობას, განსაკუთრებით, ადრეული კარიერის ეტაპზე მკვლევარების მხარდაჭერასა და წახალისებას.

უმაღლესი განათლების სფეროში აკადემიური საზოგადოების მიერ ეთიკური სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა და აკადემიური კეთილსინდისიერება განაპირობებს საზოგადოების ნდობას უმაღლესი განათლებისა და კვლევის მიმართ. ეს აუცილებელია უმაღლესი განათლების ლეგიტიმაციისა და რეპუტაციისთვის და საშუალებას აძლევს აკადემიურ წრეებს, რომ საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია აკადემიური კვლევის შედეგებზე, სტანდარტებსა და მეთოდებზე ავთენტურობის რწმენით და ინტელექტუალური თავდაჯერებით. აკადემიური კეთილსინდისიერება დიდ როლს თამაშობს უმაღლეს სასწავლებლებში ყველა სახის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფაში. ის უმთავრესი ფაქტორია უმაღლესი განათლების სისტემებს შორის ნდობის ჩამოყალიბებაში, რაც გადამწყვეტია ყველა სახის საერთაშორისო თანამშრომლობისა და მობილობისთვის. აკადემიური კეთილსინდისიერება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ პატიოსნებით, გამჭვირვალობით, სამართლიანობით, ნდობით, პასუხისმგებლობით, პატივისცემით და გამბედაობით. ეს თვისებები საფუძვლად უდევს ეთიკურ და პროფესიულ მიდგომას აკადემიური საზოგადოების საქმიანობის ყველა

სფეროში, რომელიც ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. აკადემიური კეთილსინდისიერება საჭიროებს აქტიურ ხელშეწყობას უმაღლესი განათლების სფეროში და მის მიღმა და განაპირობებს კეთილსინდისიერების, ეთიკისა და გამჭვირვალობის კულტურის განვითარებას განათლებისა და კვლევის ადრეულ ეტაპებზე.

საჯარო ხელისუფლება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და აკადემიური საზოგადოება იზიარებენ პასუხისმგებლობას, რომ შექმნან ჩარჩო პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიურ კეთილსინდისიერებას. ეს გულისხმობს გამჭვირვალე რეგულაციების, სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას, რომლებიც უნდა შესრულდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე და დამოუკიდებელი ორგანოების შექმნას, რომლებიც განახორციელებენ მონიტორინგს. ჩარჩო პირობები, ღონისძიებები და შესაბამისი სანქციები უნდა იყოს დასახული მიზნისა და ნებისმიერი ჩადენილი დარღვევის პროპორციული.

ინსტიტუციურ და პროგრამულ დონეზე სათანადო პროცესების უზრუნველსაყოფად, სწავლისა და სწავლების, კვლევის, ადმინისტრაციული პროცედურებისა და ინსტიტუციური მმართველობის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა ჩართული უნდა იყოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებში და განიხილებოდეს შესაბამისი შიდა და გარე ორგანოების მიერ, ევროპული და ეროვნული ჩარჩოების, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიების კონტექსტში, აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, მათ შორის, მონაცემთა დამუშავებისას. საჯარო ხელისუფლებამ აკადემიურ საზოგადოებასთან ერთად უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები კარგი საგანმანათლებლო პრაქტიკის შესახებ, რის საფუძველზეც შეიქმნება და პერიოდულად განიხილება შესაბამისი ჩარჩოები და სახელმძღვანელო მითითებები, რაც უზრუნველყოფს მათ განვითარებას მიმდინარე მოვლენების ტემპის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში - სტანდარტებისა და ლიმიტების დადგენას.

საჯარო ხელისუფლებამ უნდა შექმნას ადეკვატური ჩარჩოები და ასევე ითანამშრომლოს საერთაშორისო დონეზე, ევროპის საბჭოს ფარგლებში, რათა დაუპირისპირდეს და შეძლებისდაგვარად აღმოფხვრას დიპლომების ქარხნების საქმიანობა, კონტრაქტის საფუძველზე მოტყუების პრაქტიკა და ორგანიზებული გადაცდომებისა და კორუფციის სხვა ფორმები, მათ შორის, აკადემიური დაწესებულებების ადმინისტრაციული და ინსტიტუციური მართვის პროცესებში.

ინსტიტუტებმა უნდა განიხილონ ეთიკის კოდექსის შემუშავების შესაძლებლობა, რომელიც აღწერს კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის საკითხებს ადვილად გასაგებ ენაზე. ეს ეთიკის კოდექსები უნდა შეიქმნას სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად და უნდა შეიცავდეს ეთიკურ პრინციპებს, ინდივიდუალური და ორგანიზებული გადაცდომების ტიპებს სწავლების, სწავლის, კვლევის და ადმინისტრაცული მმართველობის დროს, ასევე - შესაბამის და დიფერენცირებულ საპასუხო ზომებს, სანქციების ჩათვლით. ეთიკის კოდექსებით ასევე უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან დარღვევების შემთხვევაში მხარდაჭერასა და ხელმძღვანელობაზე. აკადემიური და სამართლებრივი ზომების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, აღწერილი უნდა იყოს გადაცდომები, რომლებიც არ შედის აკადემიური სანქციების ფარგლებში. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი ეთიკის კოდექსებისა და სხვა შესაბამისი სტანდარტების შესახებ სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამღლებას. ამ მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები პასუხისმგებელი არიან პერსონალის შესაბამისი ტრენინგებით უზრუნველყოფაზე.

აკადემიურ პერსონალს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვასა და ხელშეწყობაში. მთ სტუდენტებს უნდა უჩვენონ მაგალითი, რის მიხედვითაც სტუდენტებს შეეძლებათ სწავლა. მასწავლებლები პასუხისმგებელი არიან მოსწავლეებისთვის უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნაზე, სადაც არსებობა ჯანსაღი შეცდომებისა და ხარისხის კულტურა და აღიარებულია, რომ ხარვეზებისა და შეცდომების დაშვება და გამოვლენა ხარისხიანი სწავლის, სწავლებისა და კვლევის განუყოფელი ნაწილია. ადმინისტრაციულმა პერსონალმა და ინსტიტუციურმა ლიდერებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის სამართლიანობა და გამჭვირვალობა. მათი ხასიათიდან გამომდინარე, სტუდენტები არიან აკადემიური საზოგადოების წევრები ჯერ კიდევ სწავლის დროს და მათაც აქვთ ვალდებულება, რომ ხელი შეუწყონ და პატივი სცენ აკადემიურ კეთილსინდისიერებას, როგორც ამ საზოგადოების სხვა წევრებმა. იმისათვის, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება წარმატებით განვითარდეს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არასწორი აკადემიური ქცევის გამოვლენა და გამოსწორება, არამედ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უშლის მას და უზრუნველყოფს კეთილსინდისიერებას. საჯარო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ორგანიზაციული, კულტურული, საკანონმდებლო, ფინანსური და სხვა ღონისძიება ხელს უწყობდეს ჯანსაღი სამუშაო გარემოს და შეცდომების გამოვლენისა და გამოსწორების კულტურას და ამავე დროს უზრუნველყოფდეს მარეგულირებელი ხარვეზების თავიდან აცილებას, რომლებიც ქმნის დაუსჯელობის საფუძველს აკადემიური გადაცდომის შემთხვევაში.

ეს მოიცავს უმაღლესი განათლების ადეკვატური და მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფას და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას, რომელიც უფრო მეტად დაფუძნებულია კონკურენციასა და ხარისხზე, ვიდრე აკადემიური შედეგების რაოდენობაზე. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გააძლიერონ აკადემიური საზოგადოება სათანადო ტრენინგებით, ადეკვატური ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით, რათა მისმა წევრებმა გაიაზრონ აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობა და განავითარონ შესაბამისი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები.

ინსტიტუციური ავტონომია

ინსტიტუციური ავტონომია ნიშნავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებას და უნარს, რომ შეასრულოს საკუთარი მისია ზედმეტი ჩარევის გარეშე და განსაზღვროს და განახორციელოს საკუთარი პრიორიტეტები და პოლიტიკა ორგანიზბის, ფინანსების, პერსონალის და აკადემიური საკითხების შესახებ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მთავარ როლს ასრულებენ დემოკრატიულ საზოგადოებებში. ინსტიტუციური ავტონომია არის აკადემიური თავისუფლების წინაპირობა და საშუალებას აძლევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ შეასრულონ საკუთარი დემოკრატიული მისია და უზრუნველყონ მაღალი ხარისხის სწავლა, სწავლება და კვლევა საზოგადოების სასარგებლოდ.

ინსტიტუციური ავტონომია უნდა გაძლიერდეს როგორც საჯარო ხელისუფლების, ისე თავად აკადემიური საზოგადოების მიერ. მაშინ, როდესაც ფართო საზოგადოებას აქვს უმაღლესი განათლების მიმართ ლეგიტიმური მოლოდინი იმ ფუნქციასთან დაკავშირებით, რომელიც მას შეუაქვს და უნდა შეასრულოს საზოგადოების აქტუალური პრობლემების მოგვარებაში, უმაღლეს განათლებას ამ როლის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ის სარგებლობს ავტონომიით გრძელვადიანი განვითარების მიზნით.

საჯარო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საჭირო პირობები ინსტიტუციური ავტონომიის რეალობად ქცევისთვის. ხელისუფლებას ევალება, რომ უმაღლეს სასწავლებლებს მისცეს საკუთარი მისიების ზედმეტი ჩარევის გარეშე განხორციელების საშუალება. მმართველობის ჩარჩოებმა და ორგანიზაციულმა მოწყობამ უნდა უზრუნველყოს ინსტიტუციური ავტონომია და აკადემიური ინსტიტუტების თვითმმართველობა. საჯარო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი სწავლა, სწავლება, კვლევა და შედეგების გავრცელება.

ავტონომიის სხვადასხვა მახასიათებლები - ორგანიზაციული, ფინანსური, საკადრო და აკადემიური ავტონომია - თანაარსებობს და დაცული უნდა იქნეს ბალანსი უმაღლეს

განათლებაზე საჯარო პასუხისმგებლობასა და უმაღლესი განათლების სფეროს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას შორის.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა სურდეთ და შეეძლოთ, რომ განსაზღვრონ საკუთარი ლიდერობისა და მმართველობის მოდელები. ორგანიზაციული ავტონომია ასევე გულისხმობს დაწესებულების პრიორიტეტებისა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის ავტონომიას. ეს უნდა უზრუნველყოფდეს აკადემიური საზოგადოების სხვადასხვა წევრის მონაწილეობის უფლებებს. ორგანოებს, რომლებიც წარმოადგენენ პერსონალისა და სტუდენტების ინტერესებს, უნდა შეეძლოთ თავისუფლად ფუნქციონირება, ინსტიტუციურ პოლიტიკაში წვლილის შეტანა, საკუთარი ამომრჩევლების ინტერესების ლობირება და მათი დისკრიმინაციისგან, შევიწროებისა და დაშინებისგან დაცვის ხელშეწყობა. საჯარო და ინსტიტუციურმა რეგულაციებმა და პოლიტიკამ ასევე უნდა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო მთლიანობა და თავიდან აიცილოს ძალის გამოყენება და რეპრესიები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიმართ, რაც წარმოადგენს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფუნდამენტურ ღირებულებების დარღვევას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ადეკვატურად უნდა დაფინანსდნენ საკუთარი მისიების შესასრულებლად. მათ უნდა შეეძლოთ შიდა ფინანსური საკითხების თავისუფლად გადაწყვეტა და დაფინანსების მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით განაწილება. მათ ასევე უნდა შეეძლოთ, რომ განახორციელონ ფინანსური ავტონომია გამჭვირვალობისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების ზოგადი წესების დაცვით, გარე აქტორებისგან დამოუკიდებლად. ინსტიტუტის დაფინანსებაში მისი როლის მიუხედავად, საჯარო ხელისუფლებამ, ასევე კერძო დამფინანსებლებმა და დონორებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი დაფინანსება, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუტების მიერ ინსტიტუციური პრიორიტეტებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებას და განხორციელებას. ასეთ პირობებში კონკურენტულ საფუძველზე გაცემული და/ან წინასწარ განსაზღვრული მიზნებისთვის გამოყოფილი დამატებითი თანხები და სწავლის საფასურის სამართლებრივი რეგულირება არ განიხილება დაწესებულების ფინანსური ავტონომიის დარღვევად. საჯარო პასუხისმგებლობის ფარგლებში, ადეკვატური და მდგრადი საჯარო დაფინანსება რჩება ინსტიტუციური ავტონომიის გარანტიის მთავარ წინაპირობად.

უმაღლეს სასწავლებლებს უნდა შეეძლოთ აკადემიურ, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე კადრების დაქირავება, დაწინაურება და შენარჩუნება. საკადრო ავტონომიის განხორციელებისას უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ სამართლიანობა, გამჭვირვალობა და თავიდან აიცილონ დისკრიმინაცია. როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ისე საჯარო ხელისუფლების

პოლიტიკა და პრაქტიკა პატივს უნდა სცემდეს და იცვდეს პერსონალის კანონიერ უფლებებს და აკადემიურ თავისუფლებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა სარგებლობდნენ აკადემიური ავტონომიით, რათა უზრუნველყონ აკადემიური საზოგადოების ცალკეულ წევრები აკადემიური თავისუფლებთ, რაც აკადემიური ავტონომიის ნაწილია. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება ჩარიცხვაზე, სასწავლო გეგმების შემუშავებაზე, პროგრამების დაწყებასა და შეწყვეტაზე. აკადემიური ავტონომია ასევე მოიცავს შესაძლებლობას, რომ განისაზღვროს კვლევის სფეროები, მასშტაბები, მიზნები და მეთოდები კანონმდებლობის, აკადემიური სტანდარტებისა და კარგი კვლევის პრაქტიკის, აგრეთვე აკადემიური კეთილსინდისიერების ღირებულებების შესაბამისად.

საჯარო პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისა და შეფასების ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს ინსტიტუციურ ავტონომიას. ეს განსაკუთრებით ეხება როგორც საჯარო ხელისუფლების დაფინანსებას, ისე ფუნდამენტურ ფასეულობებს და ზოგადად ადამიანის უფლებებს. მაღალი ხარისხის ავტონომიის მიუხედავად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები პასუხისმგებელი არიან საკუთარ გადაწყვეტილებებზე. ამავდროულად, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა არ უნდა გახდეს საჯარო ხელისუფლების ან სხვა აქტორების არასათანადო ან გადაჭარბებული ჩარევის საბაბი.

სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა უმაღლესი განათლების მართვაში

სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა უმაღლესი განათლების მართვაში მოიცავს მათ უფლებას, რომ ორგანიზდნენ ავტონომიურად, პარტნიორობისა და კოლეგიალურობის პრინციპის შესაბამისად, ზეწოლისა და ზედმეტი ჩარევის გარეშე; აირჩიონ და არჩეული იქნენ ღია, თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში; მათი შეხედულებები წარმოდგენილი და გათვალისწინებული იყოს; წამოიწყონ და მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ დებატში ყველა მმართველ ორგანოში; მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით მიიღონ სათანადო კონსულტაციები შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სისტემის მმართველობასა და შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

უმაღლესი განათლების მართვის პარტნიორული მოდელის დანერგვა აუცილებელია, რათა უმაღლესი განათლების ყველა დაინტერესებული მხარე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი იყოს. სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა აუმჯობესებს უმაღლესი განათლების მმართველობას. ეს აძლიერებს საკუთრების და

საზოგადოებრიობის გრძნობას და საერთო პასუხისმგებლობას მაღალი ხარისხის და სოციალურად პასუხისმგებლიანი უმაღლესი განათლების განვითარებაში.

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში არსებული მმართველობის სხვადასხვა მოდელის მიუხედავად, სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა უმაღლესი განათლების მართვაში გამოყენებული უნდა იქნეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა საჯარო თუ კერძო, მომგებიან თუ არამომგებიან სისტემასა და ინსტიტუტში და მმართველობის ყველა დონეზე – ტრანსნაციონალურ, ევროპულ, ეროვნულ, რეგიონულ, ინსტიტუციურ და სუბინსტიტუციურ დონეებზე. შესაძლოა არსებობდეს უმაღლესი განათლების მართვაში სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობის განსხვავებული ფორმები, რაც დამოკიდებულია ეროვნულ და ინსტიტუციურ სტრუქტურებსა და პრაქტიკაზე.

ყველა დონეზე და მმართველობის ფორმის მიუხედავად, უმაღლესი განათლების ლიდერებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ შექმნან გარემო, რომელიც ხელსაყრელი იქნება დაინტერესებულ მხარეებს შორის მიზანმიმართული და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისთვის. ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს შორის დიალოგი უნდა ემყარებოდეს ნათლად განსაზღვრულ და გამჭვირვალე რეგულაციებს, დებულებებსა და პროცედურებს და ეფუძნებოდეს ურთიერთნდობას, ურთიერთაღიარებასა და თანამშრომლობას.

სტუდენტებისა და პერსონალის თავისუფლება, რომ გამოთქვან აზრი საკუთარი დაწესებულების პოლიტიკასა და პრიორიტეტებზე, ასევე საჯარო ხელისუფლების პოლიტიკაზე უმაღლესი განათლების სისტემისა და მისი შემადგენელი დაწესებულებების მიმართ შიშის გარეშე, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და სისტემების პასუხისმგებლობა, რომ მოუსმინონ კრიტიკულ ხმებს და გაითვალისწინონ ისინი, აკადემიური თავისუფლების განუყოფელი ნაწილია.

უმაღლესი განათლების მართვაში სტუდენტებისა და პერსონალის მნიშვნელოვანი ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა სტუდენტისა და პერსონალის განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები და განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს კარიერის ადრეულ ეტაპზე მყოფ მკვლევარებსა და სტუდენტებზე, რომლებიც მოწყვლად სოციალურ ფენებს მიეკუთვნებიან. სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა უმაღლესი განათლების მართვაში მჭიდრო კავშირშია მათ მატერიალურ პირობებთან და უმაღლესი განათლება შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როცა როგორც საჯარო ხელისუფლება, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ სტაბილურ პირობებს შეუქმნიან სწავლისა და მუშაობისთვის. ეს ეხება აკადემიურ პერსონალს კარიერის ყველა ეტაპზე, უმაღლესი განათლების სისტემების მოქმედი სახელშეკრულებო

მოდელების ყველა სახეობასთან დაკავშირებით: სრული განაკვეთი, ნახევარ განაკვეთი, ვადიანი და „მოთხოვნის შემთხვევაში“ პერსონალი.

სისტემურ და ტრანსნაციონალურ დონეზე, უმაღლესი განათლების დემოკრატიული მმართველობა მოითხოვს, რომ საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები იცავდნენ მის პრინციპებსა და პრაქტიკას, იღებდნენ სათანადო დებულებებს შესაბამის კანონებში და სხვაგვარად პატივს სცემდნენ ავტონომიასა და მონაწილეობას. საჭიროა კონსულტაციები პერსონალსა და სტუდენტების წარმომადგენლებთან და მათ ორგანიზაციებთან, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებებზე.

თუ უმაღლესი განათლების სისტემების დონეზე სხვადასხვა გადაწყვეტილება საბოლოოდ მიღებული უნდა იქნეს პარლამენტში არჩეული საზოგადოების წარმომადგენლების ან საჯარო ხელისუფლების მიერ, რომელთა მანდატი გამომომდინარეობს საზოგადოების წარმომადგენლობისგან, მათ უნდა გაიარონ კონსულტაცია სტუდენტების და პერსონალის დემოკრატიულად არჩეულ წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან. იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკა შემუშავებულია საკანონმდებლო ან სხვა მმართველობითი პასუხისმგებლობის ჩარჩოს მიღმა, როგორიცაა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, სტუდენტებისა და პერსონალის სათანადოდ არჩეული წარმომადგენლები უნდა მონაწილეობდნენ ნებისმიერი პოლიტიკის განხილვაში, ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის კარგი პრაქტიკის მაგალითის მიხედვით. ნებისმიერ შემთხვევაში, მმართველმა ორგანოებმა მათ წინაშე დასმულ ყველა საკითხზე კონსულტაცია უნდა გაიარონ სტუდენტებისა და პერსონალის სათანადო წესით არჩეულ წარმომადგენლებთან. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, სწავლის თავისუფლებას, განათლების ორგანიზებას და შინაარსს, სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხარისხის უზრუნველყოფას, უმაღლეს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, სტრატეგიულ მიზნებს და მმართველობის ფორმას, ფინანსურ საკითხებს, აკადემიური პერსონალის დაქირავებას და შენარჩუნებას, უსაფრთხოებას, დასაქმების პირობებს, მუქარის, შურისძიების, სამსახურიდან გათავისუფლების პრევენციას ან სხვა სანქციებს კვლევის შინაარსთან, სწავლებასთან ან გაცხადებულ პროფესიულ შეხედულებებთან დაკავშირებით.

უმაღლესი განათლების წარმატებით მართვისთვის საჭიროა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, ინსტიტუციური ლიდერების, სტუდენტებისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა, ასევე გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა. ასეთი მონაწილეობა და თანამშრომლობა აუცილებელია უმაღლესი განათლების ძირითადი მისიების შესასრულებლად და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში საერთო მიზნებისა მიღწევასა და ვალდებულებების შესრულებაში გრძელვადიანი წარმატების უზრუნველსაყოფად. ეს მხედველობაში უნდა იქნეს

მიღებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკრეტული ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ნაწილად აღიარებისას და ჩართული უნდა იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმებში.

კოლეგიალური პარტნიორობის პრინციპი მოითხოვს მუდმივ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების პროცესების სხვადასხვა ეტაპებზე, მათ შორის, დღის წესრიგის შემუშავების, გადაწყვეტილებების პროექტების მომზადების, ხმის მიცემის და ვეტოს დადების, განხორციელების და მონიტორინგის დროს. უმაღლესი განათლების მართვის ყველა დონეზე სტუდენტების და პერსონალის წარმომადგენლების არჩევნები უნდა იყოს თავისუფალი, ავტონომიური და წარმომადგენლობითი და დაცული უნდა იქნეს დემოკრატიული პრინციპები, რათა ეს არჩევნები იყოს ლეგიტიმური. დაწესებულებები და სტუდენტური და პერსონალის ორგანიზაციები უნდა ცდილობდნენ, რომ წაახალისონ სტუდენტების და პერსონალის არჩევნებში მონაწილეობა, ასევე - მათი დაწესებულების ცხოვრებაში მონაწილეობა და ჩართვა დემოკრატიული ლეგიტიმაციისა და წარმომადგენლობითობის გაზრდის მიზნით. სტუდენტურმა და პერსონალის ორგანიზაციებმა საკუთარ არჩევნებში და მმართველობის პროცესში პატივი უნდა სცენ დემოკრატიულ პრინციპებსა და პროცესებს და შეუერთდნენ ინსტიტუტებისა და სისტემების წარმომადგენლებს სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობის წახალისებისთვის. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და სისტემებმა უნდა უზრუნველყონ მხარდაჭერა, ფინანსური და სხვა რესურსების ჩათვლით, სტუდენტებისა და პერსონალის მდგრადი წარმომადგენლობის და მათი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. სტუდენტებისა და პერსონალის წარმომადგენლები ანგარიშვალდებული უნდა იყვნენ საკუთარი ამომრჩევლების წინაშე.

საჯარო პასუხისმგებლობა უმაღლეს განათლებაზე

საჯარო პასუხისმგებლობა უმაღლეს განათლებაზე ნიშნავს მოვალეობების ერთობლიობას, რომლებიც საჯარო ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს, რაც განათლების სექტორისა და მთლიანად საზოგადოების მიმართ მათი საერთო პასუხისმგებლობის ნაწილია. უმაღლეს განათლებაზე საჯარო პასუხისმგებლობა ძირითადად ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემის დონეზე ხორციელდება. იგი მოიცავს პოლიტიკას, საჯარო პოლიტიკას, მარეგულირებელ და სამართლებრივ ვალდებულებებს, მათ შორის დაფინანსებასთან დაკავშირებით და დეტალურად არის განსაზღვრული უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის თითოეული წევრის მიერ იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც ერთობლივად შეთანხმდა ამ სივრცეში ან სხვა შესაბამის კონტექსტში. ეს ხორციელდება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სხვა ფუნდამენტური ფასეულობების გათვალისწინებით და მოიცავს პასუხისმგებლობას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს უმაღლესი განათლების ყველა ფუნდამენტური ღირებულება. ეს ასევე მოიცავს ძირითად პასუხისმგებლობას

უმაღლესი განათლების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე, ფართო საზოგადოებისა და ინდივიდუალური განვითარებისთვის და უმაღლესი განათლების საზოგადოების წევრების საკეთილდღეოდ.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრ ქვეყნებში უმაღლეს განათლებაზე საჯარო პასუხისმგებლობა ძირითადად ეროვნულ დონეზე ხორციელდება, ეს პასუხისმგებლობა (ან მისი ნაწილები) ასევე შეიძლება განხორციელდეს რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე. სულ უფრო და უფრო გამართლებულია აღქმა, რომ უმაღლეს განათლებაზე საჯარო პასუხისმგებლობა ხორციელდება ზენაციონალურ დონეზე, საყოველთაოდ შეთანხმებული პრინციპების შესაბამისად.

საჯარო ხელისუფლებას, მის შესაბამის დონეზე, ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა, რომ ჩამოაყალიბოს დამხმარე მარეგულირებელი ჩარჩოები, რომლებიც საშუალებას მისცემს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ ეფექტიანად განახორციელონ საკუთარი საგანმანათლებლო, კვლევითი და გარე მისიები. საჯარო პასუხისმგებლობა შეიძლება განხორციელდეს კანონმდებლობით და სხვა რეგულაციებით, ასევე სხვა საშუალებებით, როგორიცაა პოლიტიკა ან დაფინანსება.

საჯარო ხელისუფლებამ ეს პასუხისმგებლობა უნდა განახორციელოს უმაღლესი განათლების საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით. კონკრეტულად, მან უნდა უზრუნველყოს, რომ საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოები ხელს უწყობდეს და უზრუნველყოფდეს უმაღლესი განათლების საზოგადოების ინსტიტუციურ ავტონომიას, აკადემიურ თავისუფლებას და თვითმმართველობას. საჯარო ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კონსულტაცია უმაღლესი განათლების სექტორისგან, უნივერსიტეტების შიდა დეპარტამენტების და შესაბამისი გარე დაინტერესებული მხარეებისგან და ჩართოს ისინი ამ ჩარჩოების კონფიგურაციისა და შინაარსის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. თუმცა მათ უნდა აიღონ ექსკლუზიური პასუხისმგებლობა, რომ ჩარჩოები, მათ შორის, საკანონმდებლო, უმაღლესი განათლების სისტემის კვალიფიკაციების, ხარისხის უზრუნველყოფის, უცხოური კვალიფიკაციების აღიარების, უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის გავრცელების, დაფინანსების და უმაღლესი განათლების სოციალური ასპექტების ჩარჩოები, რომელთა ფარგლებშიც უზრუნველყოფილია უმაღლესი განათლება, შეიქმნას და ადეკვატურად ფუნქციონირებდეს.

საჯარო ხელისუფლებამ უნდა აიღოს მთავარი პასუხისმგებლობა, რომ ყველა კვალიფიციურმა კანდიდატმა ისარგებლოს ეფექტიანი და თანაბარი შესაძლებლობებით და მიიღოს და დაასრულოს უმაღლესი განათლება მათი წარმოშობის მიუხედავად. მან უნდა აიღოს არსებითი პასუხისმგებლობა უმაღლესი განათლების დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ. საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ნებისმიერი

უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილი და დაფინანსებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ჩარჩოებში, მიუხედავად იმისა, ეს უზრუნველყოფა და დაფინანსება საჯაროა თუ კერძო.[1]

საჯარო ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს უმაღლესი განათლების ყველა ძირითად მიზანს: შრომის ბაზრისთვის მომზადება, დემოკრატიული საზოგადოებების აქტიური მოქალაქეობისთვის მომზადება, პიროვნული განვითარება და ფართო და მოწინავე ცოდნის ბაზის განვითარება და შენარჩუნება.[2]

უმაღლესი განათლების საჯარო პასუხისმგებლობა

უმაღლესი განათლების საჯარო პასუხისმგებლობა ნიშნავს უმაღლესი საგანმანათლებლო საზოგადოების ვალდებულებებს იმ ფართო საზოგადოების წინაშე, რომლის ნაწილიც არის თვითონ.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ხელისუფლებას აქვს საბოლოო პასუხისმგებლობა შესაბამის მარეგულირებელ და პოლიტიკის ჩარჩოებზე ყველა დონეზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა ჩაერთონ ამ ჩარჩოების შემუშავებასა და განხორციელებაში. თუმცა, უფრო კონკრეტულად, უმაღლესი განათლების საჯარო პასუხისმგებლობა ნიშნავს უმაღლესი განათლების საზოგადოების ვალდებულებებს იმ ფართო საზოგადოების წინაშე, რომლის ნაწილიც არის თვითონ ეს საზოგადოება. უმაღლესი საგანმანათლებლო საზოგადოება მოიცავს პერსონალის ყველა წევრს და სტუდენტს, ასევე ინსტიტუციურ ლიდერებს და უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების (მაგალითად, უნივერსიტეტი, სტუდენტური და პერსონალის ასოციაციები) წევრებს.

უმაღლესი განათლების საზოგადოებამ საკუთარი ქმედებებით, შიდა რეგულაციებითა და პოლიტიკით უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ფუნდამენტური ფასეულობების პატივისცემა, განვითარება და განხორციელება. ის უნდა ესწრაფვოდეს ჭეშმარიტებას და ცოდნის, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის, შექმნას, გადაცემას, გავრცელებას და გამოყენებას, აკადემიურ დისციპლინების სწავლების, სწავლისა და კვლევის სტანდარტების დაცვისა და განვითარების გზით.

---

[1] იხილეთ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2007)6 წევრი სახელმწიფოების უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე საჯარო პასუხისმგებლობის შესახებ, პუნქტი 7. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები მიღებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, სამი სახელმწიფოს გარდა, რომლებიც არიან ევროპული კულტურული კონვენციის მხარე ევროპის საბჭოს წევრობის გარეშე. იმის მიუხედავად, რომ რუსეთი აღარ არის ევროპის საბჭოს წევრი, ის იყო წევრი რეკომენდაციის მიღების დროს.

[2] იხილეთ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2007)6 წევრი სახელმწიფოების უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე საჯარო პასუხისმგებლობის შესახებ, პუნქტი 5.

უმაღლესი განათლების საზოგადოება ფართო საზოგადოებას მუდმივად უნდა აწვდიდდეს ინფორმაციას საკუთარი საქმიანობისა და შესაბამისი შედეგების შესახებ. ის უნდა ჩაერთოს იმ პრობლემების იდენტიფიცირებაში, ანალიზსა და გააზრებაში, რომელთა წინაშეც დგას ფართო საზოგადოება. უმაღლესმა საგანმანათლებლო საზოგადოებამ ასევე მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ პრობლემების გადაწყვეტის წინადადებების შემუშავებაში და უზრუნველყოს საექსპერტო ცოდნა შესაბამისი გამოწვევების დასაძლევად, საკუთარი სტანდარტებისა და ღირებულებების დაცვით.

უმაღლესი განათლების საზოგადოება უნდა ცდილობდეს დემოკრატიის, სოლიდარობისა და ეთიკის კულტურის ხელშეწყობას და გავრცელებას და თავად უნდა ხელმძღვანელობდეს ამ ღირებულებებით. მან საჯაროდ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია საზოგადოების წინაშე არსებული სოციალური რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ქმედებებთან ან უმოქმედობასთან, როდესაც ასეთი რისკები შეიძლება განისაზღვროს კვლევისა და სტიპენდიების საფუძველზე. უმაღლესმა საგანმანათლებლო საზოგადოებამ უნდა შეიმუშაოს საკუთარი პოლიტიკა და განახორციელოს საქმიანობა სამართლიანობის, დისკრიმინაციის თავიდან აცილების და გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად. მან უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა კვალიფიციური კანდიდატებისთვის, მათი ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური, ეთნიკური ან სხვა წარმომავლობის მიუხედავად და მხარი დაუჭიროს მათ, რათა ჩარიცხულმა სტუდენტებმა შეძლონ სწავლის წარმატებით დასრულება.

თანამედროვე საზოგადოებების ძირითადი გამოწვევები, მათ შორის, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან და უფრო ფართო მდგრად განვითარებასთან, ჩვენი პლანეტის გადარჩენასთან, ომსა და მშვიდობასთან, დემოკრატიასთან და ერთობლივ თანაცხოვრებასთან დაკავშირებული გამოწვევები ვერ გადაიჭრება უმაღლესი განათლების საზოგადოების მნიშვნელოვანი წვლილის გარეშე, კვლევის, სწავლისა და სწავლების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და ინოვაციების და ტექნოლოგიების გადაცემის გათვალისწინების გარეშე. უნივერსიტეტების დიდი ქარტიით (Magna Charta Universitatum (2020)) უნივერსიტეტები აღიარებენ, რომ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, უპასუხონ მსოფლიოს მისწრაფებებსა და გამოწვევებს და იმ საზოგადოებების ინტერესებს, რომლებსაც ემსახურებიან, სარგებლობა მოუტანონ კაცობრიობას და წვლილი შეიტანონ მდგრადობაში. შესაბამისად, უმაღლესი განათლების საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების განვითარებას სტიპენდიებისა და კვლევის, ასევე სწავლებისა და სწავლის საფუძველზე.

უმაღლესი განათლების საზოგადოება უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათ შორის საჯარო დებატებში, რათა უზრუნველყოს საზოგადოებების განვითარება და მართვა ფაქტობრივი ცოდნის, ასევე კრიტიკული და კონსტრუქციული აზროვნების საფუძველზე.

მან უნდა იმუშაოს საზოგადოებასთან, რომლის ნაწილიც ის არის, მათ შორის ადგილობრივ საზოგადოებასთან, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოების ყველა წევრის შესაძლებლობების გაუმჯობესებას, უმაღლესი განათლების დემოკრატიული და სოციალური მისიების შესაბამისად.

უმაღლესმა საგანმანათლებლო საზოგადოებამ უნდა აღჭურვოს კურსდამთავრებულები ზოგადი, სპეციალიზებული და ეთიკური ცოდნით და ხელი შეუწყოს ისეთი უნარების გამომუშავებაში, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები, თუ რა ქმედებები განახორციელონ და რა ქმედებებისაგან შეიკავონ თავი.